

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2018
 '000 ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები		186	-
სავაჭრო მოთხოვნები		347	59
გადახდილი ავანსები		1	-
მარაგები		768	667
ძირითადი საშუალებები	3	3,696	2,831
არამატერიალური აქტივები		27	18
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	306	-
სულ აქტივები		<u>5,331</u>	<u>3,575</u>
სავაჭრო ვალდებულებები		87	7
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		14	-
საგადასახადო ვალდებულებები		87	7
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		<u>188</u>	<u>14</u>
კაპიტალი		4,852	3,552
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		291	9
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>5,143</u>	<u>3,561</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>5,331</u>	<u>3,575</u>

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 საქმიანობის შედეგი
 31 დეკემბერი, 2018
 '000 ლარი

	2018 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,040
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,827)
საერთო მოგება	1,213
ადმინისტრაციული, მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯი	(637)
საპროცენტო ხარჯი	(2)
საპროცენტო შემოსავალი	8
სხვა შემოსავალი	-
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(631)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	582
მოგების გადასახადი	-
მოგება/(ზარალი)	582
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	<u>582</u>

შპს ჯორჯიან ბაზალტი
კაპიტალის მოძრაობა
31 დეკემბერი, 2018
000 ლარი

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	3,561
კაპიტალის ზრდა/შემცირება	1,300
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(300)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	582
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5,143
31 დეკემბერი, 2018	

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2018
 '000 ლარი

	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	874
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(388)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(300)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	186
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	186

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს ჯორჯიან ბაზალტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: ინერტული მასალების მოპოვება და გადამუშავება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (<i>'000 ლარი</i>)	
1 იანვარი, 2018	2,831
31 დეკემბერი, 2018	4,233
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2018	-
31 დეკემბერი, 2018	(537)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2018	2,831
31 დეკემბერი, 2018	3,696

ძირითადი საშუალებების ზრდა 2018 წელს უმეტესწილად გამოწვეულია მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების და მანქანა-დანადგარების შესყიდვით/კაპიტალში შემოტანით მშობელი კომპანიის მიერ. ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

4. სხვა გრძელვადიანი აქტივები:

სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს გრძელვადიან მოთხოვნებს მშობელი კომპანიების მიმართ.


5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.


9 სექტემბერი, 2019




ხელმოწერა



დირექტორი



ხელმოწერა



მთავარი ბუღალტერი

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

9 სექტემბერი, 2019

ხელმოწერა

დირექტორი

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი